

ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. გამოცემა № 88.

ილია ჭავჭავაძის

სახალხო მიწლითუკა № 10.

მგზავრის წერილები

ავტორის სურათით და მცდე ბიოგრაფიით.

ბზილისი.

ელექტრომბეჭდვი "ილია" (მ. კიკნძისა), რიკ. ქ. № 14.

1907



ილია გ. ჭავჭავაძის

ილია ჭავჭავაძე

დაიბადა ს. ყვარელში (თელავის მაზრა) 27 ოქტომბერს 1837 წელს. პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო სახლში; თერთმეტი წლისა მამამ მიაბარა ტფილისის ერთ კერძო პანსიონში, საიდანაც შემდეგ გადავიდა გიმნაზიაში.

1857 წელს გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მეოთხე კურსზე იყო, რომ თავი დაანება უნივერსიტეტს სტუდენტების არეულობის გამო, 1861 წ.

1863 წ. დაარსა ჟურნალი «საქართველოს მოამბე», რომელიც გამოდიოდა ერთი წლის განმავლობაში.

1864 წ., მთავრობა რომ გლეხების განთავისუფლებას შეუდგა საქართველოში, ი. ჭავჭავაძე გაგზავნილ იქნა განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელედ ქუთაისის გუბერნატორთან გლეხებისა და ბატონების ურთიერთობის გამო-საკვლეფად.

ამავე წლის ნოემბერში დაინიშნა დუშეთის მაზრის მომრიგებელ შუამავლად, ხოლო 1868 წ. მომრიგებელ მოსამართლედ. 1874 წ. თავი გაანება სახელმწიფო სამსახურს და გადმოვიდა ტფილისში, სადაც მალე დაიკავა სათ.-აზნაურო ბანკის თავმჯდომარის ადგილი.

1885 წ. არჩეულ იქნა წ.-კ. საზოგადოების თავმჯდომარედ და ამ თანამდებობაში დარჩა სიკვდილამდის.

1877 წ. დაარსა ყოველკვირეული გაზეთი «ივერია», რომელიც შემდეგ გადააკეთა ყოველთვიურ ჟურნალად,

II

ხოლო 1885 წ. დღიურ გაზეთად. 1902 წელს «ივერია» გადასცა სხვებს.

მწერლობა ი. ჭავჭავაძემ დაიწყო 1857 წ., როდესაც «ცისკარში» დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. შემდეგ მისი ნაწერები იბეჭდებოდა «საქართველოს მოამბეში», «დროებაში», «კრებულში», «ივერიაში», «მოამბეში». მის კალამს ეკუთვნის პოემები: «სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან» (კაკო ყაჩაღი), «დედა და შვილი», «აჩრდილი», «დიმოტრი თავდადებული», «განდგილი»; მოთხრობები — «კაცია აღამიანი», «გლახის ნაამბობი», «მგზავრის წერილები», «გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები», «სარჩობელაზედ», «ოთარაანთ ქვრივი», «ნიკოლოზ გოსტაშვილი»; მრავალი პუბლიცისტური, პოლიტიკური და კრიტიკული წერილი: «ცხოვრება და კანონი», «აი ისტორია», «სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი» და სხ.

ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს 1907 წ. აგვისტოს 30-ს, ს. წიწხამურის ახლო. დასაფლავებულია მთაწმინდაზე, ტფილისში.



ვლადიკავკასიიდან ტფილისამდე

I

დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს კარების წინ, რომელშიაც მე წინა-ღამეს ჩამოვხტი, რუსის პირ-დაუბანელმა და თავ-დაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშტის პოვოსკა მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკვირველია! რუსის მზავრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი. ამ სქელ-კისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზღაზვნა და უაღამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორი იმოდენად ნამდვილი საძაგელია, მაგრამ ამბობენ: **И дымъ отечества намъ сладокъ и пріятенъ.** კვამლის სიტკბოებისა კი რა მოგახსენოთ და სიამოვნებისას კი ამას გეტყვით, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, ნამეტნავად მაშინ, როცა თვალებიდამ ცრემლებს გვაყრუვინებს ხოლმე.

როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთად-ერთი ბოხჩის ოდენა ცაღ-თვალა ტყავის ზურჯინი ჩავაგდე

პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

— ეს ეტლი ვისი მოგონილია? მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

— რუსისა, ვუპასუხე მე.

— მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მეტბრალეებით მე თქვენ, რომ იძულებულ ხართ მაგას გააღაყებინოთ თქვენი ტვინი და გაადღვებინოთ თქვენი გულ-მუცელი.

— რა ვქნათ? თუ მთელი რუსეთი მაგით დადის, მე რაღა დამიშავდება?

— იმიტომაც შორს არ არის წასული!... ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით. თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვაზედ მომაწოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი, როგორც მარტო ევროპიელმა იცის ხოლმე.

პოვოსკაში ჩავჯექი.

„იამშჩიკმა“ ერთი შემომიბღვირა, მერე აკრიბა სადავეები, „მწუო, მწუო“, დაუწრუწუნა მკლე ცხენებს და მოუღერა შოლტი. მკლე ცხენებმა ყურიც არ შეიბერტყეს. Ну, чо-о-ортъ, трогай што ли! დაუყვირა ცხენებს, აიქნივა სადავენი და

ფეხებით ტყაპუნნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ფეხი არ შესძრეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯარიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

— მთელი რუსეთი მაგიტ დადის განა? ხა, ხა, ხა, ხითხითებდა იგი: მაგიტი დადის? ვილა დაეწევა!

თუმცა მე სამხიარულო არა მქირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. იამშჩიკმა თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრალად მოაბრუნა და პირუტყვულად ბღვერა დამიწყო. მერე ისევ ცხენებისაკენ მიიგრინხა სქელი კისერი და ორიოდე შოლტი გადაუჭირა. ცხენებმა, შეიტყეს რა, რომ მეტი გზა არ არის, ყოველს დაკვრაზედ ტყუბ-ტყუბი ტლინკები ჰყარეს, დაიძრნენ როგორც იყო ადგილიდამ და ძუნძულით გასწიეს. დანჯღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარა-ჟღური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქედ და ხან იქით.

II

ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისკენ ვქენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილია. მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგ-დალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ექაშნიკება და არ

მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლა და თერგ-დალეულები არიან, მეორე, იმიტომ.... იმიტომ, რომ მეორედაც თერგ-დალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ.... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მომკვდარა, რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდერებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევ-გმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასიან ის არ რის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“...

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგ ქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდთ არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინც და მაინც, ვაი შენ, ჩემო თერგო!
შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მი-

სულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭეჭა-ჭუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყურაა შენში, ჩვენო დაუმონაო თერგო, შენს ძლევა-მოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩეალხარ დამარცხებულ და ნათრევ ღომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!...

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?

შუა ღღე იყო, რომ ლარსის სტანციაში მოვედი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდები, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის კარიელს ოთახში, ჩაის დალევა მიწოდდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევეუკვეთე ერთს ფეხ მოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი, რა ოთხი წელიწადია! პირველი რომ მთელი საუკუნეა

მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ქაბუკის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც 'გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხილი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

III

რაკი ვლადიკავკასილამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სხვა რიგად დამიწყო ფეთქა. პოვოსკაში უკეთესთა ფიქრთა ქვებზედ ხათქა-ხუთქი დამიბნეველა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამა-პაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულის-ყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვე-

წიერს პატარძალსავით მორთულსვე ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად გონების თვალ-წინ წარმომიდგენ, მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ ღ იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე—ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლიუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს, ჩემთა ფიქრთა ყოველმა თვითვეულად თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა, იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, ასე რომ ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომამკციოს, როგორც სხვა ნიაღზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც და მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყლოს და მიაშობს თავის ამბავი და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა

და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო და ის თვითთავის ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ჟოღავდეს, ერთად შევიგროვო? შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევ, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურით, გულითაც, რომლისათვისაც ღუმელიც გასაგონია; ჩემს სიტყვას გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა—მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქ? ვკითხე მე ჩემს თავს და გაფჩერდი კიდევ. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსნებული ჩემი ფიქრების ფერადი გრესილი.

— მართლა და რა უნდა ვქნა, ვკითხე ჩემს თავს ხმა-მაღლივ.

— ჩაი უნდა მიირთოვო, მიპასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და ჩემს ტახტზედ დადგა.

— ჩაი?...

— სამოვარი იმისთვის არ მიბძანეთ, მიპასუხა სულელმა გუშაგმა და გავიდა გარედ. არ გასულა ამის შეიძლეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გა-

იღო და ერთმა აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო.

— ნება მომეცით, მითხრა მან, გაგაცნოთ ჩემი თავი: მე გახლავართ პაღბარუჩიკი, აქ ლარსში ვდგევარ, როტა მაბარია!

— ძალიან მოხარული ვარ, ვუპასუხე მე, წამოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

— საიღამ მობძანდებით?

— პეტერბურგიდამ.

— ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილსა ერთი ეგ სიამოვნება-ლა მაქვს, რომ შევხედები ხოლმე მგზავრს განათლებულის ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხედეს განათლებულს კაცს საბაასოდ, გონების გასაფხიზლებლად.. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ქვეის საზღოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, მეც ხელმეორედ ხელი ჩამოვართვი.

— თქვენ ვინა ბძანდებით, მკითხა მან.

— მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის დახლდარი.

— დახლდარიო!.. სთქვა და ტუჩები აიპრუწა.

— დიად, ბატონო!

ჩემმა ხხალმა ნაცნობმა, რომ ეს გაიცნა, მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მო-

იმარჯვა, ის პირველად მომარჯვებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

— საიღამ მოდიხა-ა-ართ?... მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა.

— პეტერბურგიდამ.

— ჰმ, ჩაიცინა აფიცერმა: პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებიათ პეტერბურგის ნახვა. პეტერბურგი!... ძალიან კარგი ქალაქია — სთქვა ესა და არხენად ჩამოჯდა სკამზედ: პეტერბურგი!... ო, ო, დიდი ქალაქია. პეტერბურგი!... ვრცელი ქალაქია!... არა ჰგავს თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ჟურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი ჰფიქრობდა, რომ იმის გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე განვუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებთ. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული. იზლერის ბალი ხომ გინახავთ?

დავუგდევი ყური ამ აფიცერს და გულში კი ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულა-მეთქი, მაგრამ გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა არა შევატყვე-რა.

— არა, იზლერის ბალი ვინახავო, თუ არა? მკითხა კიდევ იმან.

— პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ? ეკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკანასნელს კითხვაზედ.

— არა, ჯერ მე მითხარით: იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამიტომაც ერთის საგნადამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედმიყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოგდით, მგონი, თქვენ არც კი იცით—რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არლუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოლია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია, თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა? თუ ეგ არ გინახავთ, პეტერბურგიც არ გინახავთ.

— მინახავს.

— გინახავთ? მაშ თქვენ განათლებულებში ფეხი ჩაგიდგამთ. ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მოხარული ვარ. იზღერის ბალი? როგორი ბალია, ჰა? ფერიებით სავსე სამოთხე ის არის, აი! ფერიები, ხომ იცით, რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქმნება არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგნოთ, იმასა ჰქნის, რომ ის ბალი სავსეა ჟუჟუნა თვალბიან კალებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქა-

ლები კი კაცს დაინახვენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი.... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, და იზღერის ბალი განათლების გვირგვინია, ასეთი ბალი, რომ „მწუ“.

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა.

— მე იმედი მაქვს, რომ ეს სამოვარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას.

— თქვენმა იმედმა არ მოგატყუათ თქვენ.

— მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსული კაცი, მეც მითავაზებთ ჩაისა?

— არც მაგ იმედს გაგიმტყუნებთ.

— რომიც, რასაკვირველია, გვექნება?

— მაგაზედ კი უკაცრავოდ.

— ეგ ვერაფერი ნიშანია. თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

— ქართველი.

— ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი კი ამბობს, რომ **бѣжали робкіе грузины**, მაგრამ მაინც ქართველები სჯობია იმ პოეზსა. პაპიროზები კი, რასაკვირველია, გექმნებათ.

— გახლავთ.

— იმედი მაქვს, მითავაზებთ.

— დიდის სიამოვნებით. ინებეთ.

— აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოყვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის

ძნელი იქმნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მაგრამ მე შიგა-და-შიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად გითარგმნით და ამ რიგად სამეცნიერო ლაპარაკის გაგებას გაგიადვილებთ.

მე ჩაი დავისხი და ერთი ჭიქა იმას დავუდგი. ჩაი რომ მოსევა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა.

— თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია, ხომ გესმით?

— ძალიან კარგად.

— აკი მოგახსენებთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებას. ახლა დავიწყო იქილამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

— არა, სტავროპოლში ვიყიდე.

— სულ ერთია. ახლა დავიწყოთ, როგორც წელანა ვთქვით, იქილამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

— დიად, კარგად.

— ახლა რაკი იქილამ დავიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითებით აგისხნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?

— წარმოვიდგინე.

— არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია და-
გრჩათ, ისიც დაკეტეთ.

— დავკეტე, ვუპასუხე კი ზე სიცილი მომივიდა.

— ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ,
ფარდაც ჩამოაფარეთ.

— ჩამოვაფარე.

— რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელ-
დება, ველარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს
სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის. სწო-
რედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროზია ურიგო. პე-
ტერბურგიდამ იქნება

— არა, ვლადიკავკასში ვიყიდე.

— სულ ერთია.

— ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

— ძალიან კარგად.

— ახლა, რადგანაც აგიხხენით განათლების მნი-
შვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენ-
ში ცივილიზაცია როგორ მიდის?

— მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს
ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

— ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ, როგორ
მიდის: გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

— იქნება ერთი ოციოდე მოგროვდეს.

— რაო, ოციოდეო!... ო, ო, ეგ დიდი საქმეა,
წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერ-
მა: ოციოდეო!... ამ ერთ მუქა ხალხში და ოცი გენე-
რალი!... ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ.

ვერ უყურებთ, ოციოდ გენერალი! არა მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, დეისტვიტელნი სტატკის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებშია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნება შტატკის გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უეზოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

— არა, თქვენმა მზემ, — დავუფიცე მეც: არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

— ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

— იქნება სამოც-და-ათი.

— შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოც-და-ათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქმნება. დიდი საქმეა მე ეგ არ ვიცოდი, ან საიღამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ სწორედ მოგახსენოთ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის

ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს გამოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე და ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

— რა იმოქმედეთ?

— რა ვიმოქმედე! ადვილი სათქმელია. აი ბატონო, რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს. მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა. მოჯამაგირეს ანაბარას დარჩა. შეწუხდა ქვეყანა, მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე როგორც გულ-მტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას,—ვთქვი: ქვეყანას შველა უნდა-მეთქი, მაღლობა ღმერთს, ვუშველე კიდევც. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი ფაჩად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე და როცა სახლიდამ გავიდოდრი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე: ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ, რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები

მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე ვინ ახდიდა, თუ არ ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს. ეხლა ყოველ დილას ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი ღამე არხეინადა ვარ: ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი! იაფი და ქურდობის წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისათვის არ გამიმელანებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ—თქვენც გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არაყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშველე-რა. არაყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ირჩობიან—**губа не дура**. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანცუცებმა იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათი მაშინების ყიდვა ძვირია. ეს ჩემი ოსტატობა გროშიც არ დაჯდება. აბა რა არის ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი. აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება, რომ ბუზების აღებ-მიცემობა დაიწყონ. აი ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს

მშვენიერს დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუ-
 ზების მაღაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშოიერი კაცი
 ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები
 რანი არიან? არაფერი. რის გამოსადეგნი არიან? არაფ-
 რისა აი მეცნიერის და კკვიანის ნამოქმედებსა და ნა-
 ღვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის ;
 მე აქ არ მოვდიოდი, თუმცა კი ბევრს მეხვეწებოდნენ.
 ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია
 რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი, მაგრამ
 ახლად დაქერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-
 მეთქი. აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან.
 აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ,
 ზევით რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ახლა სხვა ჩემის-
 თანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გა-
 მოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზღერის ბალი
 გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძ-
 ლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ
 გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს
 სეირნობა გაიმართება იზღერის ბალში, იმ ბალ-
 ში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინ-
 და ერთს უთხარ „წენი ჩირიმე,“ გინდა მეორეს,
 ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს
 თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე
 იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ. .. მაგრამ
 რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ
 გესმია?

— ძალიან კარგად.

IV

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეღო მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდან გარედ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედა-მიწა ქალამნადაო. ცისა ლაფვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუშლვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთად-ერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალეზედ დაჰნათიდა, ერთს ალავს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!... დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათბობს,—ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის

ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა ღელა მიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისე თავზედ ხელ-აღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალეებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლელებელი და ღირს-საცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია როგორც უკვდავება და ჩუმია როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულია, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულია, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მი-

ყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადგე, თუ მყარალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი...

V

ჩამოლამლა. თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში ღრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე — მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალ წინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ ლა ეღირებოდა?... მიყვარს, ბუნებავე, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარედავარ და დაჟინებით ყურ-აცქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზედ-ხელ-აღებულის დენის ხუილსა.

ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერ-
წმუნეთ, მე მესმის ამ ხმა-გაკმენდილს ქვეყანაში
თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არის ადამიანის ცხოვ-
რებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნე-
ბას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას
შენ გაგებინებს. ამიტომაც შევიძლიან სთქვა, რომ
მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი ორ-
ფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ
ლამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის
ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის
რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრ-
თის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის
მიცემა.

დალამდა, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყ-
და ადამიანის მორკმული ხმაურობა, აღარ ისმის მი-
სის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი,
ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს
ჩემს გარეშემო. ვაი რა ცარიელია ეს საფსე ქვეყანა
უადამიანოდ!.... არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვი-
დობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომე-
ციტ მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვი-
თა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი
ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ
დაარსებულებიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ
ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ
იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად
თავ-ზარი ადამიანის გონებასა და დააფუთხეს იგი. მას

აქედ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, — და აჰა იბრძვის ადამიანი და დღევანდლაჲდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დაფრთხალი გონება ფრთხილას ვერ გადუჭევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმაღლავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მკედელი და მტარვალე ქვეყნისა სკედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დაფრთხალ გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე: შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!...

VI

სტანციაში შევიტყე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავალისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავენა და ცხენ-და-ცხენ გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჰკვაში დამიჯდა. იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე საჯდომს ცხენს ვიქირავებ და ისე გადვიფლი მთებსა.

გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიყ-
რაყო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირ-
დაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას
ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაუჩუჩებულებს,
მაგრამ თერგი მაინც ჰბლავის და იბრძვის. სჩანს
ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმი-
თა. დღემ დაიწყო თავისი დაუდგარი ფაცა-ფუცი.
კარგია გაღვიძებული ადამიანი!... მაგრამ უფრო
უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძი-
ნავს, ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა.
ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში?
მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვნები.

გავედი სტანციის გარედ და ერთს მოხვევს შევ-
ხედი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობითა, რომ
თითონაც ცხენით გამომყოლოდა. ბოლოს არამც
თუ ვინანე, დიდად კმაყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი
საქმე ეგრე მოეწყო. ჩემი მოხვევე ძალიან კაცი გამო-
დგა. იგი იყო ჯაღარა-მორეული; ხანში შესული
კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ ყურ მა-
ღევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც
მის გარეშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის
უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაე-
ნიშნა.

შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით სტეფან-
წმინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი

როგორღაც დიდ-კაცურად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხვევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხვევეს ჩამოეფხატა ბანჯვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდგა, განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულ-აუზმღვრევლად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ—ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

— რა გქვიან, ძმობილო? ვკითხე მე.

— . . . ლელთ ღუნრას მიხმობენ, მომიგო მან.

— სადაური ხარ?

— სადწველ? გაიბოტნრდამ, აქაივ მთაჩრა, თერგ-კიდურზედ.

— ქართველი ხარ, თუ ოსი?

— ოვსრ რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახტვე.

— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

— არაა გონჯაი:*) ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

— ჰმ! ჩაიცინა მოხევემ.

— რას იცინი?

— საცრნალს ვიცრნი. ცარრალ სტვამაქი მაგნრთ ვერ გაძღების.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

— რარდ არ ეცოდინების? ადგრლ არაა გონჯაი, პატარ გვაქენ: თვითვალს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

— ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

— რაი ბედენაა გზანი? იგ მისთვის ვარგობს, ვიცტ თვის ნაშვრელ-ნამუშევრ გასატან-გასასყიდ აქენ.

— მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

— რაიდ არ დავდრვართ? დავდრვართ.

— მაშ ქირით ფულს იშოვნით.

— ვშაულაბთ. ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცო მახევე სვამეხის კერძია. ჭამადი, სმადი არაა სახლჩი, ნაშრვერ ღუქანჩი მიდის.

— მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.

— ვინ უწყის? იქართაც სანკირ-ბოროტორა დარჩენა. ადგრლ ჰხაშმოზს. იქაველ კაცს ფერი არაა აქენ, ჯანა არაა აქენ. აქაველ ჯან-მრთელნი არნ.

*) გონჯაი—ცული.

ცარგვლის გამჩენმა განაგო: იქაით მადღრობა, აქაით სიმრთელე.

— რომელი ქვეყანა სჯობია, მადღარი თუ მრთელი?

— ორვენ ერთადა. უერთ-ერთოდ ქვეყანაი გონჯაა.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევენონ?

— ორჩრდა? არჩევანზედ? ამ ღორღრან კლდეთ ვიჯრბდი, ჯან-მრთელრა. აღამის ძეი ბალახრთაც, გაქრრდის, გაძღების, სატკრვარს რაი ტყვის?

ამ ღროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიღამ და დაიწყო უზანგის გამართვა.

— სჰირ-ბოროტორა შეკაზმულ ცხენ, — წამოიძახა ღიმით მოხევემ: დანილოც შიშვალ ცხენ: ფეხ დაწვდრდი და გადაჯდრდი.

მე აღარ მოვუცადე მოხევეს და წინ წავედი.

VII

ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, — ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია: აი სტეფან-წმიდის პირდაპირ რა მონასტერია?

— თერგ-გაღმით?

— დიად.

— გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარ არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჟო.

— როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჟო?

— ქართველთა მეფეთა განძი აქილ უფარვან მტრიანობას, მცხეთილ საუნჯეი საფარად აქ ზილუ-ლა მრავალჯერ.

— საბჟო რალა არის?

— საბჟორი? იქილ არნ სენაკ, სად სამართალი ბჟეთანგან იბჟოდის. რაიც მძრმა ლქმე ხევი ავარდის, მუნ იბჟობრდნეს...

— ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჟობა და რა ზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

— რაილ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყვი, შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჲი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქარდ გამართვინ, აარჩრვინ ბჟედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით *) სახელ-დებულნი, დასხმრან მათ იმ სენაკი საბჟობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხორსგან მათხვნილ მად-ლით იგნ ბჟენი სთქმრან, გადასჟრიდრან, არვინ შეშლირან, არვინ გადავლირან.

— შენ მოსწრებხარ მაგისტანა ბჟობას?

— რაილ შავესწორდი? აღრინდალ თქმულობას გიზრახვან.

— ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

*) პეიტრობით—მეტის გონებით სახელ-განთქმულნი.

— აწინა?...

ჩაფიქრდა ჩემი მოხვევე და პასუხი კი არ მომცა.
 ცოტა ხანს შემდეგ თითონ მკითხა მე:

— შენ რაი მიღების ხარ?

— ქართველი ვარ, განა ვერ შემატყე?

— რაიდ შეგეტყვის? ტალავარ*) არა გაქვენ
 ქართველთა: რუსად მორთულხარ.

— განა კაცს ქართველობა მართო ტანისამოს-
 ზედ შეეტყობა?

— თვალთთვის ტყობად სამსელ არა.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც,
 რვსიც, თათარიც, სხვა მიღებითიც.

— ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველის ტალავარის იერი*) სრულად სხვარა.
 რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოვების.

— ქარუველი გულით უნდა ქართველობდეს,
 თორემ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაი-
 ხედნის? გული შიგნად არნ, უხედველ, ტალავარ
 გარედ არნ, სახედველ.

— თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ
 გულით ქართველი ვარ.

— იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხვევემ დამიჯერა, თუ არა.
 ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.

*) ტალავარი—ტანის-სამოსი.

*) იერი—შეხედულობა.

— წელანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი,—დავიწყე კვლავ მე:—მე გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში.

— აწინა?... ერობა სად არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველი გაცუდღის, ყველი გაუქმღის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სანტრის დარაჯობაჩი. მის სამაგრერ მეფეთა თარხნობა მიანჩქის სრულ სოფელს, გუჯარიც მპჰსცის საშვრლი-შვრლად. ყვაველ ლამ აწინაც გერგეთიდ სამ-საჟ კაც დარაჯად იგზანების. გერგეთელნ აწინათ სანტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაუტუდღის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხრვის. გერგეთი აწინა სხვავრთა ბეგრობს. გაუქმღის აღრინდალ დაწყობაჩი, ხთის მათხანეილ მადლრთი ბჭობაჩი სამებაჩი გადავარღის.

— მაშუწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

— რაიდ არა?

— რით იყო უკეთესი?

— აღრვა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენნი თავნი ჩვენდვე გვეყუდნეს, მით რყვის უკედ. აღრდა ერი ერობღის, გული-გულობღის, ვაჟნი ვაჟბღის, ქალი ქალბღის. აღრდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. აღრდა?! ქერივ-ობოლთ ვიფარვდით, შინ მიწორელს, *) გარედ მანვენს დავუ-

*) მიწორელ—ეშმაკი.

ლამდით, ხთისა და ბატონის იასულის მის ყუდ-
როს არ მივკრძდნით, ერთ-ურთს ლალ მტერთან
ჩავეფარდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდო-
მილს ვიხიოშნდნით და ესრედ რყვის ბრალება კა-
ცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძა-
მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერე-
ნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი
გახშრდნის. აწინა ქერივ-ობოლ ვინ განიკრთხის,
ატირდომილ ვინ გააცნის, დაცემულ ვინ აღადგრის?
აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ—პირად და გულად
ჯულუტრ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ,
ვრდომილ-კრთობილ. წარხდა ქართველთა სახელი,
ქართველთა წესთ-წყობაი. აღრდა ჩვენობა რყვის.
წარხდა, მოსრნა ქვეყანაი, რაი აწინა ჩვენი ღარ-
ჩენა? ჰამად-სმად სასყრდვალ, ტყეი სასყრდვალ, გზაი
სასყრდვალ, ღორცვა-კურთხევაი სასყრდვალ, სამარ-
თალ სასყრდვალ, რაიდ ღარჩების ბეჩავი მახტვე?...
— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის.

— რაის ვაქნევ ცარალ მშვიდბას ცარალ
სტემაქით. რაი არნ მშვიდბა? უხმარ სატევარს
ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყყენი, ჰია-
კუანი, ქვემძორმი გამრავლდის. უდგარ, უსვენარ
თერგჩი კი კალმზხი რცის? რაი არნ მშვიდბა ცო-
ცხვალ კაცთაჟვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი
ერობს? ცარალ მშვიდბა მიწაჩიც გვეყრფის.

— მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და
ცოლ-შვილს გიწიოკებდათ ხოლმე.

— აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროსს სახლს გერკლებს. ადრდა მტერს მანც ფარ-ხრმლით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სხვამებს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრდა მტერთან ბრძოლაჲი, სწორების ჯობინობაჲი, სახელ ვშარბდით, სვამეხთან ვაჟი რაი სახელ ჩამორჩების? ადრდა, მართალ ხარნ, მტერ რყვის, ერთგულთა ვაჟთა ჩუქებაც დიდ-რყვის: ადგილ-მამულ ებრძვის, თარხნობ მიეწვებოდის. აგერნა თერგ-კიდურზედ ხელთ-უქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეთ არშისა ციხედა ცნობრლ არნ.

— როგორ ხელთ უქმნი?

— ხოით არნ ციხედა, არ შეუვალ, არ შეუღეწ.

— მერე რა უნდა გეთქვა?

— იქილ ადრდა კახთ-ლწქარ მისევრდის. ელწქრნათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხეცსა შეძრწუნებულს ბატონთან შევლაი ეზრახნა. მან შველა ვერ მასცის. შაწუხდის უშველი ქრი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხრცნეს, მავრდნენ ციხეჩი, აღმნი დასცის. ქრთი ყაფრლა პეიტარ-ბერ-კაცი, მახევე. ქალი ჰყოლრა უთხრვარ, მზედ-უნახველ. მან, მახევემ გაისაურნა*) კახთ ლწქრის დათრობად. მაზრდნა ღვინრი, შაგზანა ციხეჩი. თერსა ქალსა მზედ-უნახველს, მალვინობა შეუთქენა, უანდერძნა. კახთა ღვინრის მწყურვალთა, ლამაზ-ქალაის მზირალთა, თავი იღორ-

*) გაისაურნა—გაისაზრა, მოიფიქრა.

ნეს, სრულ რთვრენ ღვინრით. ქალბიმ განახენის ცრხის კარნი, მახევეა ამცნის მოღორრა კახთ-ლაშქრის. მოვეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი, დასცის კიჟენა, კახნი სრულ მთვრალნი მახრცნის. ხელთ რგდის მახევეთ კვლავდა ცრხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს. მან მასცა წყალობად იმ ქალბის მამას იგ ცრხე, გუჯარიც მასცა...

— ეგ რა ვაჟ-კაცობა ყოფილა?

— რარდ არა? ჭკუიანი ვაჟ-კაცობაი ეგე არნ. სად ღონეი ვერ ჭღონობს, იქაიდ ხერხს ემუდენის.

— მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გეთქვა?

— აწინა ყავტლნი ქართველნ ძმანებრ ვარნ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ აღრდა სამსახურს თავ-ვიდვდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ-რყვის; სახელით, ვაჟ-კაცობით სარჩო-საბადებელთ მაშრვერ ვიყვენით, კაცი უბრალად არ წახდის. აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთ-ურთ ღალატით სარჩო-საბადებელთ მაშრვერ გაგვრხდნის“.

VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა! მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვისხენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ

იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განძრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა.... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისას სიტყვით თავისს გულის ტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეთი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!...

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ილ. ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკის წიგნები:

1. რჩეული ლექსები 7 კ.
2. კაკო ყაჩაღი. 5 კ.
3. განდევნილი 5 კ.
4. დედა და შვილი. 3 კ.
5. აჩრდილი. 5 კ.
6. დიმიტრი თავდადებული. 7 კ.
7. კაცია ადამიანი. 20 კ.
8. გლახის ნაამბობი 20 კ.
9. ხარბებელაზე 5 კ.
10. ნიკოლოზ გოცტაშაბიშვილი 3 კ.
11. მგზავრის წერილები 7 კ.
12. ოთარაანთ ქვრივი 20 კ.
13. გლეხთა განთავისუფლების პირველ
დროის ხეცნები 7 კ.

